რედაქცია
განოვის ქუჩაზე, სტ. მელიქოვის და სტამბაში, ამატუნის სახლებში. —

ხელის-მოწერა
რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова. —

გაზეთის ფასი
წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება
მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი —
დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი. სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს.
დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

ომის მოლოდინი

ზოგიერთ ჩვენი ბირჟის პოლიტიკოსებს რომ ჰკითხოთ, ომი კარზე გვადგია; ეს პოლიტიკოსები გვარწმუნებენ, რომ 2 აპრილს, ე. ი. ხვალ, შაბათს, რუსეთის იმპერატორი გამოსცემს მანიფესტს და ომს გამოუცხადებს ოსმალეთსაო; მეტსაც ამბობენ: ქალაქში გავრცელებულია ხმა, რომ ოსმალეთისა და ინგლისის ჯარი სამოცი ათასი კაცი შემოქმედში და ოზურგეთში გამოვიდაო, სუყველას ახალი სისტემის, მსწრაფლმსროლელი თოფები აქვთო, და ომი შავ ზღვის ნაპირას კიდეც დაიწყოო და სხვ. და სხვ.

რა საკვირველია, ეს სულ ხმებია, უსაფუძვლო, უქმ, დაფეთებულ ფანტაზიის გამოგონილი ხმები.

მაგრამ ნამდვილი კი ეს არის, რომ ომიანობის გამოცხადებას ახლა ყველანი დღე-დღეზე მოელიან.

ამ მოლოდინს ახლა უფრო მომეტებული საფუძველი აქვს, ვიდრე როდისმე ჰქონდა ამ უკანასკნელი ექვსი თვის განმავალობაში. აი რა მდგომარეობაშია ამ ჟამად ომიანობის საქმე:

ევროპის ექვსმა უმთავრეს სახელმწიფომ მოაწერა ხელი რუსეთისაგან წარდგენილ პროტოკოლს, რომლითაც ისინი აცხადებენ თავიანთ ურთი-ერთ-შორის თანხმობას და ამასთანავე ოსმალეთს სთხოვენ, რომ სისრულეში მოიყვანოს ის რეფორმები, რომელიც იმან დაჰპირდა თავის ხალხებს, გაუშვას თავის ჯარები და ამას გარდა მოურიგდეს ჩერნოგორიას. რუსეთმაც თავის მხრით ინგლისს გამოუცხადა, რომ ის მხოლოთ იმ შემთხვევაში გაუშვებს თავის ჯარებს, თუ ოსმალეთი ამ ზემო-აღნიშნულ პირობებს შეასრულებსო და გამოგზავნის პეტერბურღში თავის ელჩს ჯარების გაშვების თაობაზე მოსალაპარაკებლად.

ეს პროტოკოლი რუსეთის წარმომადგენელს უფ. ნელიდოვს წარუდგენია ოსმალეთის მმართებლობისათვის, რომელსაც ამაზე ჯერ არავითარი გადაწყვეტილი პასუხი არ მიუცია. ამბობენ კია, ვითომც ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს სევფეტ-ფაშას გამოეცხადებინოს, რომ პორტა თანახმაა პროტოკოლზე დადგომისა, მაგრამ იმ პირობით, რომ ევროპამ თავის მხრით ურჩიოს ჩერნოგორიას, რომ იმ პირობებით მოურიგდეს პორტას, რომელსაც ის თხოულობს. ამას გარდა, სევფეტ-ფაშამ გამოაცხადა, რომ პორტა შეასრულებს თავის სახელმწიფოში რეფორმებს, მაგრამ ვერ მოითმენს, რომ უცხო სახელმწიფოები იმის შინაგან საქმეებში გაერიონ.

ერთის სიტყვით, როგორც სჩანს, საქმე ახლა თითქმის მხოლოთ ჩერნოგორიასთან მორიგების გათავებაზედ არის დამოკიდებული; თუ ოსმალეთი მოურიგდება ჩერნოგორიას, ხელ-მოწერილი პროტოკოლის ძალით, რუსეთსა და ოსმალეთს აღარ ექნებათ მიზეზი, რომ ერთმანეთს ომი გამოუცხადონ. ამგვარივე ჰაზრი გამოჰსთქვა ლონდონის პარლამენტში ლორდ დერბიმ, რომელმანც ამასთანავე დაუმატა, რომ პროტოკოლს არც იმ შემთხვევაში ექნება ძალაო, თუ რუსეთმა და ოსმალეთმა ერთსა და იმავე დროს არ გაისტუმრეს შინ თავის დაიარაღებული და საომრად დამზადებული ჯარებიო.

გადაწყვეტილ ამბებს ყველა ამ საგნების შესახებ ამ რამდენიმე დღის განმავალობაში უნდა მოველოდეთ.

დღიური

*** „ტფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია ერევნიდამ მიღებული ტელეგრამმა, რომელიც გვაცნობებს რომ ამ გუბერნიის პოლიციას სხვა ავაზაკთა შორის, დაუჭირავს ქერ-ახმეტა, რომელსაც ტფილისის ოსმალოს კონსულის მოკვლა აბრალებენო.

*** ჩუღურეთის მცხოვრებლებისაგან საჩივარი მოგვდის, რომ მთელი ჩვენი უბნის ქუჩები ყოველგვარ სისაძაგლით და ნაგავით არის სავსეო და იმათ გაწმენდას წელიწადში ერთხელაც ვერ ვღირსეთო; კაცს ისე ვერ გაუვლიაო, რომ ცხვირზე ხელი არ დაიდოსო.

ამ გვარსავე გაბინძურებას იწერებიან იმ რიყეზედაც, სადაც იორდანეს აკეთებენ ხოლმე; მუშებს ქალაქის ნაგავი აქ მოაქვთო და წყლის პირას ჰყრიანო, იმდენი ვერ მოუხერხებიათ, რომ წყალში მაინც ჩაჰყარონო.

ურიგო არ იქნება, რომ ქალაქის გამგეობამ ამ გვარ საჩივარს ყურადღება მიაქციოს განსაკუთრებით ახლა, როდესაც გაზაფხულის სიცხეებს დღე-დღეზე უნდა მოველოდეთ; უიმისოთაც ჩვენი ქალაქი გიგინეურის მხრით ერთობ ცუდ მდგომარეობაშია და ამისთანა სიბინძურე ერთი-ორად გაახშირებს ავათმყოფობასა და სიკვდილს.

*** ჩვენ გვითხრეს, რომ მომავალ სამშაბათს, 5 აპრილს, ტფილისის საზაფხულო თეატრში ქართული სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება უფ. გაბ. სუნდუკიანცის სომხურიდამ ახლად ნათარგმნი სამმოქმედებიანი კომედია „ხ ა თ ა ბ ა ლ ა.“ შემოსავალი წარმოდგენისა კეთილი მიზნისათვის არის დანიშნული. ჩვენს სცენაზე ეს კომედია პირველად წარმოსდგება. როგორც გავიგეთ, კომედია ჩინებული არის და იმედიცა აქვთ, რომ წარმოდგენაც კარგათ წავა.

*** გაგვიხსნილდა და ჩვენს ბაზრებში ცოტა არ იყოს თითქმის ყველა გვარ ხორაგმა ფასი დაიწია. მხოლოთ თივა და ქერი კი ისევ თან-და-თან ძვირდება; ამას ომიანობის მოახლოვებას აბრალებენ.

*** ახალქალაქიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ იქითკენ პურის ფქვილი ფუთი მანეთ ნახევრათ ფასობსო და ერბო თორმეტ მანეთათაო.

*** ჩვენი ფოთელი კორესპონდენტი ქ. ფოთში ქურდების გახშირებას უჩივის. ამ უკანასკნელ ხანებში რამდენიმე შემთხვევა მოხდაო, რომ დღისით გაქურდეს რამდენიმე დუქანია: სხვათა შორის ერთს კამისიონერს, უფ. პ—ს, კასიდამ 400 მანეთი ამოაცალეო; მეორეს აბანოში 23 მანეთი მოჰპარესო და სხვ.

*** პეტერბურღიდამ მოგვივიდა ამბავი, რომ უფ. დ. ჩუბინოვს თითქმის გაუთავებია თავის ახალი ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენა და მალე ბეჭდვას შეუდგებაო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ ჟამად ერთს ჩვენი ქალაქის სტამბათაგანში იბეჭდება თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან—ორბელიანის ოთხმოქმედებიანი კომედია „ბ ა ტ ო ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ი რ ა კ ლ ი ს პ ი რ ვ ე ლ ი დ რ ო“ და მალე ცალკე წიგნად გამოვაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

სიღნაღი, 12 მარტს. (დასასრული) *). საზოგადოთ თამამად შეგვიძლიან ვსთქვა, რომ დღევანდელი ჩვენი მდგომარეობა ჩვენთვის სანატრელია და სასურველი დიდხანს გაგძელდეს; ისიც შეგვიძლიან თამამათ ვსთქვა, რომ ტფილისის გუბერნიაში ჩვენ მაზრას პირველი ადგილი უნდა ეჭიროს როგორათაც სივრცით, აგრეთვე ბუნების სიმდიდრით და ხალხის სიმრავლით და ეს ყოველის მხრივ

*) „დროება“, № 33.

ფელეტონი

ქართველების დასახლების მიზეზი თერგის ხეობაში

ქართველების დასახლება კავკასიაზედ ეკუთვნის დასასრულ მეთვრამეტე და დასაწყის აწმდგომ მეცხრამეტე საუკუნესა.

რა შეჭირვება ადგათ მაშინდელ ქართველებს, რომ თავიანთ მამა-პაპეულ სამშობლო მიწა-წყალს დაანებეს თავი და გარდაიხვეწნენ უცხოობაში?

მამა-პაპეული ნაფუძრის თავის დანებება, სადაც კაცი აღზრდილა სიყრმითგანვე, შესთვისებია ხასიათით ბუნებასა, თვისსა და მოყვარესა არც ერთს ადამიანის მონათესავეს ისე არ უძნელდება, როგორც ქართველსა. მაგრამ უკიდურის მტარვალურ მოპყრობით ზოგიერთ მებატონეებისაგან ყმანი ისეთ მდგომარეობაში შედიოდნენ, რომლის გამოც იძულებულ იყვნენ მიეტოვებინათ სასოწარკვეთილებით სამშობლოსთვის თავი.

აი, ეს გახლავთ უმთავრესი მიზეზი ქართველების აქ გადმოხვეწისა.

საქართველოს თვითეულს სამფლობელოში მებატონეებს თავიანთი ყმები სხვა-და-სხვა ხასიათითა ჰყვანდნენ დაბეგრულები და რაც კულუხი ედოთ მამა-პაპათაგან გადასახადათ, ზოგნი მებატონეები იმას არა სჯერდებოდნენ და იმათ შინაგან ცხოვრებასაც ავიწროებდნენ. ყმას არ შეეძლო თავის შვილი სასწავლებელში მიეცა, თუ ამაზედ ბატონის ნებაყოფლობა არ იქნებოდა; არ შეეძლო ქალი გაეთხოვებინა, ვაჟი დაექორწილებინა. მაგრამ მარტო ამითი არა ბოლოვდებოდა ზოგიერთი ბატონების მოთხოვნილება. ერთს ჭერემხეთის მებატონეს მაგალითად, ჩვეულებათა ჰქონდა, რომ, იმ საქორწილო გადასახადს გარდა, რომელსაც „ბატონის საჩექმეს“ ეძახდნენ, ახლად დაქორწილებულ პატარძალს ჯერ წინაწინ უთუოთ თითონ ბატონი უნდა „გაეცნობოდა“ და თუ ამ შემთხვევაში წინააღმდეგობას გამოიჩენდა ყმა, მაშინ ვაი იმის სიცოცხლეს, ენით გამოუთქმელს სატანჯველს მიაყენებდნენ. ამ უკაცობრიო ბატონის მოქმედებით, მომეტებულათ მობეზრებულნი და ზნეობით დატანჯებულნი იყნენ ყმანი.

მრავალით უწყიან მოქმედება ერთი ალბულახის მებატონისა, რომელიც ბარბაროსულათ ეპყრობოდა ყმებს. უბრალო მიზეზისათვის გაატიტვლებდა დედაკაცებს მხოლოდშობილათ, შეაბამდა კევრში და ისე ალეწინებდაკალოს. ეგრეთვე რამდენიმე კაცს გაატიტვლებდა, წაუსომდა თაფლს, მიაკრავდა ბოძზედ ან ხეზედ ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაში, დაეხვეოდნენ ბუზები და ამ ტანჯვაში ამოართმევდა სულს.

დღესაც ცოცხლები არიან ზოგიერთნი ის მებატონეებიც, რომელნიც, თუ გლეხი ქმარი უარსა ჰყოფდა ბატონის ბრძანებაზედ, იმდენსა სცემდა და ისეთსსასჯელს მიაყენებდა, რომ ყმა ბატონის ბრძანებას აუსრულებდა. დღეს ეს ბატონები მოხუცებულებაში ბრძანდებიან და ჰყავთ ახალგაზდა ცოლები, რომელთაც უკითხამენ ზნეობით სწავლასა, რომ „ქმრის ღალატი პირველი მომაკვდინებელი ცოდვა არისო, რომლის გამო ღვთისაგან დაწესებული ცოლქმრობის კავშირი და ოჯახის მშვიდობიანობა უნდა შეირყესო და სხ...!“ და თუ რომელიმე ყმაწვილ კაცსა აქვს ამათსა მსვლელობა, იმასაც, რასაკვირველია, მრავალჯერ წაუკითხავს მოსე წინასწარმეტყველის მცნებიდამ: — „არა გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისაო და სხ.“

კიდევ სხვა მრავალს მაგალითებსაც მოვიყვანდი, მაგრამ ესეცა კმარა, რადგანაც თვით მკითხველსაც კარგათ ეცოდინება ჩვენ წინაპართა სამწუხარო წარსული მოქმედებანი!..

მდიდარი ქვეყანა დღემდის სხვა და სხვა მიზეზებით უკან დაწეული იყო. ახლა კი იმედი გვეძლევა, რო უფრო უკეთ წავა ჩვენი საქმეები.

ზემო აღწერილის უწესო გვევით ეცემოდა ჩვენი ხალხი როგორათაც ნივთიერათ, აგრეთვე ზნეობით; მაგრამ, კარგი იყო თუ ავი, კიდევ ისუნთქამდა და იმედი იყო, თუ კარგი ჰაერი დაჰკრამდა, კიდევ გამობრუნდებოდა; მაგრამ ჩვენ მაზრას ერთი სნეულება აქვს შეპარებული, რომელიც ნელ-ნელა ხრამს და, უეჭველია, ბოლოსაც მოუღებს: ჩვენებური უთანხმოება ერთმანეთის შორის და უფრო მომატებულათ ბუნების კანონის უცოდნელობა არის მიზეზი ამ სენის მოვლინებისა. მე მინდა ვსთქვა შესახებ ჩვენებურ ტყეების მდგომარეობისა. მეტყვით: ამაზე ბევრი ლაპარაკი ყოფილა გაზეთშიაო. მაგრამ მე მაინც მოგახსენებ, რომ კაცს რაც უფრო უჭირს, იმაზედ უფრო უნდა ბევრი იფიქროს და ილაპარაკოს.

ჩვენს მაზრაში ტყიანი ადგილები ბლომათ არიან გადაჭიმულები ალაზან გაღმიდამ მოკიდებული კავკასიის მთებამდის და გამოღმა დედოფლის წყაროდამ მოკიდებული თელავის მაზრისაკენ, ვიდრე შეუერთდებიან ისევ კავკასიის მთებს. ეს ტყეები როგორც ალაზან გაღმა, აგრეთვე გამოღმა ეკუთვნით თითქმის მომატებული ნაწილი თავადიშვილობას და ხაზინას. ტყეები არიან თავადიშვილებ შორის გაუყოფელნი.

რომ შეიტყოთ—რა უსამართლოებით ჰკაფვენ ამ ტყეებს, გაგიკვირდებათ. მაგალითად, სოფელ მირზაანიდამ მოკიდებული სოფელ ბეჯინამდე ხუთმეტი წლის წინათ შეიძლებოდა სახლის იარაღი მოეჭრა კაცს; ეხლა მირზაანიდამ მოკიდებული სოფელ ბაკურციხემდის დარჩენილ მიწაში კუნძებს სთხრიან და იღებენ. ამ ხუთმეტი წლის წინათ, მე თითონ მინახამს, ბოდბის-ხევში, მაქირში, ანაგაში და ბაკურციხეში იყო მრავალი წისქვილები, ასე რომ მირზაანიდამ მოკიდებული სოფელ ბუჯაანამდის, ეს ათი ხუთმეტი სოფელი იყო დაკმაყოფილებული ამ წისქვილებით, და ეხლა კი იძულებულნი არიან ორმოც-და-ათ ვერსზე მეტზედ ჰზიდონ თავიანთი ხორბალი დასაფქვავათ! აბა იფიქრეთ—რა შესავიწროებელი იქნება საწყალ უსაქონლო კაცისათვის ამ აუცილებელ შრომის ასრულება! სოფელ კარდანეხში და მაქირში მე თითონ მინახამს, ამ ხუთმეტი წლის წინათ, თავიანთ ვენახებს, რომელიც მდებარეობენ სოფლის ბოლოს, რწყამდნენ მრავალი წვრილ-წვრილი ნაკადულებით, და ეხლა არამც თუ მორწყონ ზაფხულში ვენახები, თითქმის დასალევათაც აღარა აქვთ წყალი. სოფელ კოლავს ერთი პატარა წყარო-ღა აქვთ, ისიც სოფლის თავში, რომლის მოსატანათ ორ ვერსზედ მეტი უნდა გაიაროს; ახლა თქვენ იფიქრეთ—რა ძნელი უნდა იყვეს სოფლის ბოლოს მცხოვრებისათვის! ზამთარში ამავე სოფლიდამ, სოფელ ბაკურციხეში ერეკებიან თავიანთ საქონელს წყლის დასალევინებლათ. თქვენ წარმოიდგინეთ გლეხ კაცი, რომელსაც საქონელი ისე უღონოთა ჰყავს, რო თითქმის ას საჟენზედ სიარული არ შეუძლიან და რომელსაც უნდა უზიდოს შინ წყალი და ამ რიგათ გამოკვებოს თავისი მაცხოვრებელი.

უფრო უსამინელესი ის არის, რომ ამ დიდრონ მთებზედ, რომელთაც სიგძე ეჭირებათ ოც-და-ხუთ ვერსზედ და სიგძე რვა ვერსზედ მომატებული, ხის ძირი, რომელიც არის დარჩენილი, იმასაც იღებენ ყოველის მხრივ უყურადღებო ადგილიდამ. ადვილად შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, რომ რაც ალაზან გაღმა ადგილში ათ წელიწადს გაიზდება ხე, ამ მთებზედ საუკუნო უნდა დასჭირდეს.

სწორეთ ამ გაცარცვილის მთების მიზეზით გამოიცვალა ჩვენში ბუნების მოვლინებები. მაგალითად, რამდენი წელიწადი არის, აქ ნახევარ არშინი თოვლი აღარ გვინახამს; ზაფხული ხშირათ გვალვიანი დგება ხოლმე და ვენახებს, რაც აქნობამდის ბუნება ანაყოფიერებდა, ეხლა ძალათ ხალხი აფუჭებს და მუშაობაც ერთი-ორათ მეტი სჭირდება. სამწუხარო ის არის, რომ დროს განმავლობაში თან-და-თან უფრო ძნელდება მამულის შემუშავება და განაყოფიერება; ამას რომ დაუმატოთ ამ უკანასკნელი წელიწადების გოლვებიც, დავრწმუნდებით, რომ რამდენსამე წელს შემდეგ შეუძლებელი გახდება ჩვენ სოფლურის მამულის შემუშავება.

რაიცა შეეხება ალაზან გაღმა მშვენიერ ტყეს, ნაკლებ მწუხარებას არ წარმოუდგენს კაცის თვალს: აქ თავადიშვილი და გლეხი უყურებს ტყეს ერთის მიზნიდამ; ვერც ერთს ვერ დააჯერებთ, რომ ტყეს მთელ მხარეში ცეცხლისა და საჭირო იარაღებისათვის მოსახმარისის სხვა უფრო დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან. ეს საბუთი მტკიცდება თითქმის მომატებული ნაწილის თავადიშვილებს გვევით, მაგალითათ: რომელსამე თავადიშვილს დასჭირდა ცოტაოდენი ფული; ის მიდის, შოულობს ფიცრის მხერხავს, ურიგდება იმას, აძლევს გაუყოფელ ტყეში ბილეთს თავისას, რომ ოცი ფიცარი რომ გახერხოს, ერთი ფიცარი ტყის პატრონისა არის; მხერხავიც სიხარულით იღებს. აქედამ ტყის პატრონს ერგება ოც ურემ ფიცარში ერთი ურემი. ესვე ტყის მეპატრონე მიდის და ერთ ურემს ყიდის სხვა პირზედ, ფიცარს ორ შაურათ, ურემზე ოცი ფიცარი ედება, რომელიც შეადგენს ორ მანეთს; უკანასკნელათ ერთ ურემ ფიცარს ხუთი ხე მაინც მოუნდება. ის მხერხავი რომ ტყის პატრონი ყოფილიყო, რასაკვირველია, ხუთ ხეზედ ნაკლებ მოანდომებდა, მაგრამ რა ენაღვლება, რაც კარგია საფიცრეთ მოსჭრის და დანარჩენს გადააგდება. ეს შეადგენს ოც ურემზედ ას ხეს; ამ პატიოსანმა ტყის მამულელმა ასი ხე გაყიდა ორ მანეთად; ნამდვილი ფასი რომ დავდვათ, თითო ხე ხუთ მანეთათ მაინც ეღირება, მაშ ასი ხე ორმოცდა ათ თუმანს შეადგენს, და იმას კი ორმოც-და-ათი თუმანი ორ მანეთათ მიუცია!

ამ გვარი ტყის პატრონები გვაფიქრებინებენ ჩვენ რომ ეს მშვენიერი მხარე ბუნებით მდიდარი, პოეტური მდებიარებით შემკობილი რამდენსამე ხანს შემდეგ, უნდა მივატოვოთ და გადავცვივდეთ აქეთ-იქით...

ამაზედ მეტყვით, რომ—მოუარეთ ტყეებსაო! მაგას მართალს მეტყვით მაგრამ მოდი თქვენ და აქაური გლეხი-კაცი და მომატებულ ნაწილი თავადიშვილობაც დააჯერეთ თოვლი და წვიმა ბუნების კანონი არის! მოდი და თქვენ ამოფხიკეთ აქაურ ხალხში ღრმათ ჩანერგილი გრძნობა, რომ, თუ ღმერთს უნდაო, წვიმასაც მოიყვანსო და თოვლსაცაო! ამისთანა ხალხში თავის ნებით რაც თითონ არ ესმის, რას გააკეთებინებთ?

მაშასადამე სამწუხარო სნეულება ჰქონია შეპარებული ჩვენს მხარეს, რომლის შეელასაც მცდელი და გავლენიანი გამწყობი უნდა. თუ ისეთიც გამოჩნდა ვინმე, რომ ამ საშინელ სნეულებასაც უწამლეს რამე, მაშინ კი ნამდვილათ იმედია, რომ ჩვენ ისევ ვეღირსებით იმ ჩვენ უწინდელს ბუნებას, ბედნიერებას და სიუხვეს და არ ვიქნებით ამ შევიწროებულს და შეწუხებულ მდგომიარეობაში, როგორც ეხლა. მაგრამ როდისღა? და ან შეიძლება ამისი გამობრუნება-ღა!? მე კი ძნელათ მგონია, ნამეტნავათ ეხლა, როდესაც ეს ტყეები ჯერ ისევ მამულის მართვის უცოდინარ თავადიშვილების ხელ ძია, რომელნიც არავისა ხედავენ დამშლელს და გზის მაჩვენებელს....

არბუხელი

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი და ჩერნოგორია

ერთობ გაჭიანურდა ოსმალეთსა და ჩერნოგორიას შუა მორიგების თაობაზე მოლაპარაკება. მართალია, ჩერნოგორიამ დაუკლო თავის წინანდელ მოთხოვნილებას, ახლა ის მხოლოთ: ერთ ნაწილს ნიკშიცის მაზრისას თხოულობს და ორს სხვა პატარა ნაჭერ მიწას, მაგრამ ოსმალეთი არც ამ ადგილების დათმობაზე თანხმდება. პორტის უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრს სევფეტ-ფაშას, როგორც ამბობენ, გამოუცხადებია ევროპიის სახელმწიფოებისათვის, რომ იმათ ურჩიონ ჩერნოგორიას, რომ ხელი აიღოს თავის მოთხოვნილებაზე და მაშინ შეიძლება მორიგებაო.

ჩერნოგორია დიდს მზადებაში არის თურმე, რადგან იმედი არააქვს, რომ, უომრათ საქმე გათავდეს და ოსმალეთმა დაუთმოს ის, რასაც თხოულობს მოსარიგებლად.

ლონდონიდამ და პარიჟიდამ მოსული დეპეშები გვაცნობებენ, რომ აქაურ პოლიტიკურს წრეებს იმედი აქვთო, რომ ოსმალეთი პროტოკოლზედაც დათანხმდება და ჩერნოგორიასაც დაუთმობს იმ მიწებს, რომელსაც ის თხოულობსო; მაგრამ კონსტანტინოპოლიდამ მოსული ტელეგრამმები კი სულ ამის წინააღმდეგ ამბებს გვატყობინებენ: პორტა არც პროტოკოლზე დათანხმდება და ჩერნოგორიას ერთ ნაკუწ მიწასაც არ დაუთმობსო. ყველა აქაური ოსმალური და ბერძნული გაზეთები ამ პირობებით მორიგების შეკვრის წინააღმდეგნი არიანო, და ის პარტია, რომელსაც რუსეთთან ომის დაწყობა ჰსურს, აქ, სტამბოლში თან-და-თან ძლიერდება და მომხრეები ემატებაო.

რასაკვირველია, ყველა მებატონეები ერთსა-და-იმავე დავთარში არ ჩაიწერებიან, რადგანაც ზოგნი ძალიან შებრალებით და ლმობიერათ ეპყრობოდნენ თავიანთ ყმებსა და ყმათაც საფიცრათ მიაჩნდათ ბატონის სახელი,—„ბატონის მზემაო!“ მაგრამ „ბატონის ამოწყვეტამაო!...“ ამას-კი უფრო მრავალნი ჰლაღადებდნენ.

უსწავლელი გლეხი-კაცი დღესაც თავის შავ-ბედსა და განგებას ემორჩილება და უზენაესის მოვლინებითა ჰგონია იმ მდგომიარობაში და მონაობაში ცხოვრება, რომლითაც იმის მამა-პაპას უცხოვრნია და აწც შინაჭებული აქვსთ. როდესაც ბატონყმობა გადავარდა, ყმებს ეგონათ, უთუოთ მეორეთ მოსვლა და საშინელი სასჯელიც თან დაჰყვებაო ამ ცვლილებისათვის, რადგანაც კვალად ეგონათ, რომ მებატონეები სხვა ნაირი ქმნილება არიან ბუნებისა და ყმანი სხვანი, რომლის გამო ეს უკანასკნელნი ძალა-უნებურათ უნდა უკუნისამდე ემორჩილებოდნენ მებატონეთა და თუ თანასწორობა ჩამოვარდება, მაშინ-კი წარღვნაც მოვაო!... ზოგიერთი მებატონეები თავიანთ ყმებს და მთლათ გლეხობას ყოველთვისინ იმას ეჩიჩინებოდნენ (შიგა-და-შიგ ეხლაც), რომ „ჩვენი სისხლი და ჩამომავლობა სხვა არის და თქვენი—სხვაო!“ უსწავლელი კაცი, რომელსაც არ ესმის არავითარი ბუნებითი კანონი და სხვ. ყოველთვისინ ადვილი მოსატყუილებელია.

აი ამ ზემო-აღნიშნული მდგომარეობის გამო, ზოგიერთა ბატონის ყმებმა მიანებეს საშობლო საქართველოს თავი, გაიქცნენ და დასახლდნენ ჩრდილოეთ კავკასიაზედ და პატარა ყაბარდოში. მომეტებული ნაწილი ამათგანი ოსებლიანთ ყმები არიან. თუმცა ზოგიერთნი მებატონენი ჰპოვნულობდნენ თავიანთ ყმების ახალ ბინადრობასა, მაგრამ ბევრი ვეღარა გაიტანეს-რა. როდესაც დაატანდნენ ძალას „უკანვე დაბრუნდითო!“, მაშინვე ყაზახათ შეირიცხებოდნენ ხოლმე და თუ არა-და სცხოვრებდნენ თავისუფლათა. ადგილობრივი მთავრობაც დიდის სიამოვნებით ღებულობდა ამათგანებს, რადგანაც გულს-მოდგინეთ ეძებდნენ იმ დროს მხედრელთ ყაზახათ შერიცხვისათვის, რომ ჩაეყენებინათ დაუმონავებელ ჩერქეზების და ჩაჩნების კრიჭაში.

მეორე მიზეზი ამათი დასახლებისა ის იყო, რომელიც შარშანდელს „დროების“ მე-20 №-ში იყო აღწერილი. მაშინდელი გადმოსახლებულნი თავად-აზნაურნი (ჩხეიძეები და სხვ.) და გლეხები დღესაც სცხოვრობენ მოზდოკში და ყიზლარში. ზოგიერთ ამათ წინაპართ მიუღიათ კათოლიკე სარწმუნოება, იმავე მიზეზის გამო, რომელიც ზემო-აღნიშნულს შარშანდელს ნომერშივეა აწერილი.

მესამე მიზეზი ეკუთვნის საქართველოს ბატონის-შვილების გადასახლებას რუსეთში: როდესაც საქართველოს ბატონი-შვილები იძახობინათ გადასახლეს რუსეთში, მაშინ ბლომა მხლებელნი და მოსამსახურენი გაჰყვნენ თანა; ამათ რიცხვში თავად-აზნაურთაგანნიც. ჩამოიარეს მოზდოკში და აქ რამთვენიმე დღე დაჰყვეს. წინა-დროებაში დასახლებული ქართველები დახვდნენ და, როგორც წესი იყო, შეძლებისა-დაგვარად, ისე გაუმასპინძლდნენ. ბოლოს გაემგზავრნენ რუსეთისაკენ და რამოდენიმე ნაწილი მხლებელთაგანნი აღარ გაჰყოლიან თანა, იქვე მოზდოკში დასახლებულან. როდესაც ბატონის-შვილები ჩავიდნენ მოსკოვში, რუსეთის მთავრობამ გაწუსაზღვრა მათ ჯამაგირი საცხოვრებლათ და რადგანაც იმდენი მხლებლების რჩენა აღარ შეეძლოთ, ამისათვის მიანიჭეს ამ მხლებლებს თავისუფლება და დაბრუნდნენ ისევე

გერმანია

მკითხველმა იცის, რომ თ. ბისმარკი, რომელსაც ამ უკანასკნელი ათის წლის განმავლობაში თითქმის მთელი ევროპის პოლიტიკური მდგომარეობა ეჭირა ხელში, გამოვიდა სამსახურიდამ ერთის წლის ვადით; მიზეზი, როგორც ამბობენ, ის იყო, რომ გერმანიის იმპერატორი და ის ვერ დათანხმდნენ ერთმანეთში იმაზე— თუ როგორ უნდა მოიქცეს გერმანია, რომ ვინიცობაა რუსეთსა და ოსმალეთს შუა ომიანობა ატყდეს.

თ. ბისმარკის ადგილას დაუნიშნავთ ფონ-ბიულოვი და მინისტრი კამპჰაუზენი.

წერილები

I

უფალო რედაქტორო!

თქვენ პატივ-ცემულ გაზეთში მე-31 ნომერში სხვათა შორის არის დაბეჭდილი ამბავი, რომელიც თქვენ შეგატყობინესთ და რომელსაც, როგორც შესაძლებს, მიეცით თითქმის პირველი ადგილი თქვენ გაზეთში. მე მგონია, როგორც თქვენ, აგრეთვე თქ ენის გაზეთის პატივ-ცემულ მკითხველებს კარგათ ახსოვსთ შინაარსი ამ ამბავისა. მოკლეთ იგი გამოიხატება შემდეგის სიტყვებით: ვითომ თფილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორს უ. კუვშინსკის ამ ახლო ხანში მიუცია ნება თავის მოწაფეებისათვის, რომ იკითხონ ქართული წიგნები, „მაგრამ ყველა კი არა, არც ჟურნალ-გაზეთები,—მხოლოდ სასულიერო წიგნებიო“ და ესეც სხვა ჰაზრით.

აი რაში მდგომარეობს საქმე.

პირველად, თფილისის სასულიერო სემინარიაში სხვა საგნების კათედრების შორის არის განსაკუთრებით ქართული ენის კათედრა. მასწავლებლები ამ კათედრისა ყოველთვისინ ყოფილან და ეხლაც არის. დანიშნულება ამ კათედრისა და თანამდებობა ქართული ენის მასწავლებლისა არის ის, რომ გააცნოს მოწაფეები დანიშნულ ამისთვის ცალკე დროებში საეკლესიო ქართული წიგნებთან. მაშასადამე არამცთუ აქამდინ არ უკრძალავდნენ მოწაფეებს ქართული საეკლესიო წიგნების კითხვას, არამედ თვითონ მოწაფეები ვალდებულნი იყვნენ და არიან შეისწავლონ ეს წიგნები თავიანთი დანიშნულებისდაგვარ.

მეორეთ, მოწაფეები, როგორც მომავალნი ქართული პრიხოდების მღვდლები აქვე, სემინარიაშივე, იმართებიან ქართულ ენაზედ ქადაგებების თქმაში. ამის გამო მასწავლებელი აძლევს მოწაფეებს სხვა და სხვა ქართულ ენაზედ დაბეჭდილ ქადაგებებს, რომლებსაც მოწაფეები, როგორც გაკვეთილსა, სწავლობენ. ამასთანავე, რადგანაც ქართული საეკლესიო გალობა სულ სხვა ნაირია და არ ემგზავსება რუსულ და ან ბერძნულ საეკლესიო გალობას, ამისთვის მოწაფეები ვალდებულნი არიან რუსულ საეკკლესიო გალობასთან შეისწავლონ ქართული გალობაც, რომლისათვისაც არის დანიშნული მასწავლებელი.

მესამედ, უწმინდესის სინოდის მოთხოვნილობის-დაგვარ, მოწაფეები ვალდებულნი არიან, რომ იცოდნენ შესანიშნავი ადგილები ქართული ლიტერატურიდან და გამოჩენილი შემთხვევები ქართული სამოქალაქო და საეკკლესიო ისტორიებიდან. ამ მოთხოვნილების აღსასრულებლად მასწავლებლები ნათქვამი საგნებისა მოწაფეებს აცნობებენ ზოგს თავიანთი ახსნით და ზოგის ვრცელის შესწავლისათვის აძლევენ ამათ წიგნებს, რომლებიდანაც იგინი სწავლობენ შესანიშნავ ადგილებს.

გარდა ამისა თფილისის სასულიერო სემინარიის ბიბლიოტეკაში არის ქართული წიგნები. ამ წიგნების მიღება შეუძლიან ყველა მოწაფეს, თუ რომ იგი წარუდგენს წინა დღით ბიბლიოტეკარს პატარა ქაღალდზედ დაწერილს წიგნის სახელს და ნომერს, შემოწმებულს ქართული ენის მასწავლებელის ხელის მოწერითა. ამასთანავე ისეც უნდა ვსთქვა, რომ რუსული წიგნების მიღებაც ამ რიგათ ხდება. ინსპექტორს არ შეუძლიან შეავიწროოს თავისუფლება მასწავლებელისა და ან აუკრძალოს იმას, რომ იმან არ მისცეს მოწაფეებს ნება ამ წიგნების მიღებისა.

რაც რომ შეეხება ჟურნალ-გაზეთების კითხვას, ეს სრულებით არის აკრძალული თფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებისათვის არამცთუ მარტო ქართულ ენაზედ არამედ, რუსულზედაც და სხვა ენებზედაც. მაგრამ ეს განკარგულება არ არის მარტო ინსპექტორისა.*)

ინსპექტორი თფ. სას. სემინარიისა

23 მარტს ივ. კუვშინსკი

II

უფ. რედაქტორო!

ერთს სასამართლოს განყოფილებაში, მოხდა შემდეგი ამბავი, რომელიც ღირსია შეგატყობინოთ:

ერთის ვექილობის დასამტკიცებლად ადგილობრივ მსაჯულმა, რომელსაც მინდობილი აქვს ნოტარიულის წესიც, სთხოვა ექვსი მანეთი ერთს საწყალს გლეხს, რომელსაც აქაურის ხაზინიდამ ახალები ჰქონია სულ ხუთი მანეთი.

ეს ამბავი შევიტყეთ ჩვენ თვით იმ გლეხისაგან, რომელიც მოვიდა აქ და ილაპარაკა, რომ ვითომც იმას ეთხოვნოს ამ სასამართლოს მოსამსახურესათვის დაწერა ვექილობის და დასაწერი ეთხოვნოს ორი მანეთი და როდესაც მსაჯულს გაეგო, გასწყრომოდა თავის ხელქვევითს და ეთქვა: შენ არ გაქვს ნებაო აქ უწერო ვისმეს რაიმეო; მე თითონაც შემიძლიან დავსწეროვო; მაგრამ ესეც შევიტყეთ, რო თითონაც არ შესძლებია დაწერა არა თუ ვექილობისა, არამედ არაფრისა და უთხოვნია უცხო პირისათვის და მას დაუწერია და შემდეგ მოუტანია და ხსენებული გლეხისათვის უთქვამს, მწერლის დაწერილი არ ვარგაო, აი მე დავსწერეო და დამტკიცებით ეღირება ექვსი მანეთიო.

ეს რომ გაუგია გლეხს, მოუხსენებია მსაჯულისათვის, რომ სულ ჩემი საქმე, რომლისათვისაც მინდა ვექილობაო, არ არის ექვსის მანეთისაო და მაგისთანა ფასს ვერ მოვართმევო, ისევ წავალ სხვა ქალაქშიო და იქ იაფათ დამიჯდება დაწერაც და შემოწმებაცაო და ამის გამო აქ, თელავს მოვიდა ის გლეხი და აქ შეასრულა თავის სურვილი.

წარმოიდგინეთ, რომ ამ გვარის მოქმედებით რა მდგომარეობაში უნდა იყოს ის საწყალი ხალხი, საცა ამისთანა მსაჯული იქნება! გარდა ამისა მრავალი სხვა უფრო კარგ ამ გვარ მოქმედობებს ამბობენ იმ ახალ მოსამართლეზედაც, მაგრამ ამაზედ სხვამის იყოს. X.

18 მარტს, ქ. თელავს.

*) ცენზურის წესდების მე-26 მუხლის ძალით, ამ წერილის პასუხის დაბეჭდვა ჩვენ ამავე ნომერში არ შეგვილიან. ამის გამო მკითხველსა და უფ. კუვშინსკის ვსთხოვთ შემდეგ, ე. ი. მე-36 ნომრამდინ მოგვითმინონ.

რედ.

ნარევი

ერთი სანარევო ამბავი შევიტყეთ ჩვენ უფ. ლ. შესახებ: ერთს თავის ხელქვევით შკოლის მასწავლებელს ელაპარაკებოდა თურმე ამ მოკლე ხანში ზოგიერთს პედაგოგიურ საგნებზე; მასწავლებელი უმტკიცებდა იმას, რომ გონივრული პედაგოგიური კანონი მოითხოვსო, რომ პირველ-დაწყებითი სწავლა შეგირდებმა თავის სამშობლო ენაზედ მიიღონო და ამის გამო მეც შეგირდებს პირველ ორ-სამ წელიწადს ჩემს ქართულ შკოლაში ქართულს ენაზედ ვასწავლიო.

ამ გვარმა სიტყვამ ისე გააოცა თურმე უფ. ლ. რომ იმ მასწავლებელს მაშინ ვერა უთხრა; მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ერთი იმ მასწავლებლის კარგი მეგობარი ნახა და უთხრა:

— ურჩიე შენს მეგობარს ასე ნუ ლაპარაკობს და თუ ლაპარაკობს, ნუ მოიქცევა მაინც თავის შკოლაშიო.

— მე როგორ ურჩიო! ყველა კაცს თავის გონება აქვსო! უპასუხა თურმე იმ მასწავლებლის მეგობამა.

— მაშ ერთს რასმე გეტყვი, შენ ურჩიე და უეჭველად მოჰკვიანდება...

— აბა, მიბრძანეთ.

— უთხარი, ურჩიე შენებურად, მეგობრულად, რომ ცოლი შეირთოს.. მაგრამ იმისთანა ცოლი კია, რომელმანც, როცა ქმარი მაგისთანა ლაპარაკს დაიწყებს, იმწამსვე პირის ღალება და მთქნარება დაიწყოს!

ანეკდოტი არ გეგონოსთ,—ნამდვილი ამბავია...

* * *

თელაველ სომეხს ჩინოვნიკს ამ ოცი, ოც-და-ხუთი წლის წინათ ცოლი მოუკვდა. რადგან შეძლებული კაცი იყო, მიცვალებულს ქვა დაადვა საფლავზედ. ახლა ეს სომეხი თვითონ ისეთს მდგომარეობაში არის თურმე, რომ საფლავზე ფიქრი მართებს. და კიდეც უფიქრნია: ამ დღეებში იმას აუღებინებია თავის ცოლის საფლავიდამ ქვა და დაუდვია თავის საკუთარ სასაფლაო ადგილზე; მე რო მოვკვდები, ეს ქვა მე უნდა დამადონ საფლავზედაო. რ დ შვრები ამასაო, როცა ჰკითხეს თურმე სომეხს, იმან უპასუხა: „ყაირათი, შვილო, ყაირათიო!“

* * *

სომხური გაზეთის „მშაკის“ რედაქტორი აცხადებს თავის გაზეთში, რომ წელს ამ

საქართველოსკენ. ჩამოიარეს მოზდოკში, კვლად დარჩნენ რამოდენიმე ხანი; მიიხედ-მოიხედეს, მოეწონათ აქაური მდებიარობა და ისინიც ზოგნი აქ დასახლდნენ, ზოგნი ყიზლარში გადავიდნენ და დანარჩენი მცირედი ნაწილი მიიქცნენ ისევე საქართველოში.

მეოთხე მიზეზი: აქ დასახლებულ ქართველებმა მიიწერეს წიგნები საქართველოში თავიანთ მონათესავეებთან და ნაცნობებთან, და შეუქეს აქაური მდებიარობა და თავისუფლება. ამის გამო ბევრნი გადმოსახლდნენ საქართველოდამ.

სულ ყველანი ერთათ ორას კომლამდის შესდგნენ. მომეტებული ნაწილი შიგ ყიზლარში დასახლდნენ. ყიზლარის ძველმა მცხოვრებმა და ადგილობრივმა ადმინისტრაციამ არ უყაბულა თავისუფლათ ცხოვრება; პოინდომეს ამათი ბეგარაში გარევა და ყაზახური სამსახური, მაგრამ ზოგნი ქართველები არ დასთანხმდნენ ამ წინადადებას: მომეტებული ნაწილი აიყარა და სხვაგან დააპირეს დასახლება.

ბევრი იყიალეს, მაგრამ ადგილის მდებიარობა არსად არ მოეწონათ და უკანასკნელად დასახლდნენ ყიზლარიდან სამხრეთის მხარეს თვრამეტს ვერსზედ და უწოდეს ამ ალაგს ქართული სახელი „სასოფლო.“ მანამდის საფუძვლიანათ არ მოჰკიდეს ხელი მოსახლკარობას, მანამ ხმა არავის გაუცია ამათთვის. როდესაც კავკასიის მთავარმმართებელი აწგარდაცვალებული—თ. ვორონცოვი მობრძანდა აქა და დაჰყო ალაგები საყაზახო, საქალაქო და მთიულებისა, მაშინ ეს „სასოფლოც“ საყაზახო უწყებაში მოჰყვა და უბრძანა, რომ ან ყაზახებათ შეირიცხულიყვნენ და თუ არა-და გადასახლდითო სხვაგან, რომ თქვენს ბინადრობაზედ რუსის ყაზახები უნდა დავასახლოვო! ისინი დასთანხმდნენ მთავრობის ბრძანებასა; მაგრამ რომელთაც არა ჰქონდათ ჯერ საფუძვლიანათ მოსახლ-კარობა გამართული, ისინი კი ზოგნი ყიზლარშივე გადასახლდნენ და ზოგნიც მოზდოკში და აქ ზოგნი ყაზახებათ დარჩნენ და ზოგნი მოქალაქეებათ.

ქართველების დასახლებას კავკასიაზედ არ ჩაუვლია ფუჭათ გარეშამო მეზობელ მცხოვრებთათვის:

დასახლდნენ თუ არა ყიზლარში და ამასთანავე ააშენეს სოფელი— „სასოფლო,“ დაიწყეს მამა-პაპურათ მევენახობა და ძალიან კარგათაც წაიყვანეს საქმე პირველში. ამათის მიბაძვით დაიწყეს იმ დროს მევენახეობა ახლად დასახლებულმა რუსის ხაზახებმა ჩერვლიონკაში, შელკოვოდსკაში, ვორონცოვკაში და თვით ყიზლარშიაც.

მაგრამ დასასრულ მეთვრამეტე საუკუნისა ყარაბაღიდამ გადმოსახლებულ სომხები დროთა განმავლობაში, შეაპარნენ ცხოვრებაშია და თავიანთებურის მოხერხებითა გაპტყვნეს გულ-წრფელნი ქართველები: რაც საუკეთესო ვენახები ჰქონდათ, ჩამოართვეს ზოგი შესყიდვით და ზოგი ვალში. ეხლა მთელი ყიზლარის და მის არე-მარის მევენახობა ამ სომხების ხელშია და ამით ზოგნი მილიონებიც გახდნენ. მოზდოკშიაც, მანამ ქართველები არ დასახლდნენ, სხვას არავის ჩაურგავს ვაზი. აქაც ამათ ვენახებსა და სხვა წარმოებებს ისეთივე ბედი ეწვია, როგორც ყიზლარში და სასოფლოში.

ამათი ცხოვრება და ოჯახის გამგეობა ჩვეულებრივ მამა-პაპეულათა ჰქონდათ დაწყობილი, მაგრამ დროთა განმავლობაში, სხვა-და-სხვა ელემენტები შეაპარათ როგორათაც ლაპარაკში, ეგრეთვე ცხოვრებაშია და ასე თითქმის სანახევროთ ვადაგვარდნენ.

ვ. ვრემელი

ვლადიკავკაზ, მარტის 17

Дозволено цензурою. Тифлисъ. 1 Апреля 1877 г. Типографія Меликова и К°.

გაზეთს ოთხასი ხელის-მომწერი ჰყავს; შარ-შან ექვსასამდინ ყვანდა და შარშანწინ შვიდასზედ მეტიო.

განცხადებანი

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ გამ-გეობის თანდასწრებით ამ 15 აპრილს დანიშნულია უკანასკნელი ვაჭრობა იმ მამულის იჯარით აღე-ბაზე, რომელიც ქალაქს ნავთ-ლუღში ეკუთვნის, სულ 100 ოთხ-კუთხი საჟენი. პირობები გამგეობა-შია; ვადა იჯარისა სამი წელიწადი. განცხადება მსურველს შეუძლიან შეიტანოს ქალაქის გამგეობაში პი-რადათ ანუ დაბეჭდილის კონვერტით.

(3—1)

გამოვიდა ახალი ქართული წიგნი

მზით-უნახავი ქალი

ისყიდება ენფიანჯიანცის წიგნის მაღაზიაში

ფასი 5 კაპ.

(5—2)

წალკოტი

თქმული

დავით გივიშვილისაგან

ისყიდება სხვა და სხვა წიგნის მაღა-ზიებში.

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკე-თებული.

იმითი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზრდა ადა-მიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი — გამომგონი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შე-სანახავად; ზამთარში არ და-უსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—115

მეიჯარადრე ქალაქის ცხენე-ბის გადასახადისა თფილისის მე-ორე გილდიის ვაჭარი ხერო აბა-ზის ძე **აბაზოვი** ამით აცხადებს სა-ყოველთაოთ, რომ ვისაც თავის სა-კუთარის საჭიროებისათვის ჰყავთ ეკიპაჟის ცხენები, აგრეთვე საზიდრო ფაეტონებისა და დროშკების ცხენე-ბი და ტვირთის გადატანისათვის, უნდა შემოიტანონ ჩემს კან-ტორაში გადასახადი, იმ კან-ტრაკტის ძალით, რომელითაც თფი-ლისის ქალაქის გამგეობა შემეკრა მე ამ თებერვლის 11-ს სამის წლის ვადით, ე. ი. ამ 1877 წლის 1 იან-ვრიდამ ვიდრე 1880 წ. 1 იანვრამდე. ჩემი კანტორა იმყოფება მე-6 უბანში, 1 განყოფილებაში თავად ბებუთოვის სახლებში, თათ-რის მაიდანზე, საიდამაც ჩემგნით დაყენებულის, პირისაგან (პოვერენი-საგან) მიიღებს ფულების შემოტა-ნის კვიტანციას ჩემ ხელმოწერილს. ჩემი კანტორა გახსნილია დილის 8 საათიდამ საღამოს 5 საათამდინ.

საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად

რის ბუტმანი, ქიმიკოსი პეშტიტამ,

იმპერატორის **სასახლის მეიჯარადრე**

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სასახლეე-ბისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდ-გინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველ-გვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ქიისა, ჩრჩილის, ჭინ-ჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო სა-შუალება.

1872 წლის მოს-კოვის პოლიტეხნი-კურ გამოფენის დროს ამ საშუალების გამო-გონისათვის, დიდი ვერცხლის მედალ-მიიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე. 1873 წელსა.

გამომგონი პასუხს აგებს.

ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.

პრეის-კურანტი:

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის — 1 მ. და 50 კ. პა-რაშოკი ნამის ქიისა, ჩრჩილისა, ჭინ-ჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რო-მელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წა-მალი — 1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ.

დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამა-ლი, ერთი ბანკა — 60 კაპ.

უმთავრესი დეპოსის თფილის-ში, დვორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვლადიკავკაზში, სევალ-თან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; სტავრო-პოლში — კურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. **აქვე ისყიდება თმისსაღებავი.** 54—42

ისყიდება ახალი წიგნი

მეფე ლირი

ტრაგედია ვ. შექსპირისა

ინგლისურიდამ გადმოღებული

ივ. მაჩაბელის და ილ. ჭავჭავაძის მიერ

ფასი 60 კაპ.

ისყიდება:

ქალაქს, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და „ივერიის“ რედაქციაში,
ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,
გორს, ფარნაოზ ნათიევისას,
ახალციხეს, ალექ ეე — მესხიევისას (მიროვოი პოსრედნიკი)

ლექსნი თქმულნი **თ. ნ. ბარათაშვილისაგან**, ფასი 20 კაპ.
ზ. ნ. ანტონოვის თხზულებანი, — — — — ფასი 1 მან.
ქართული ანდაზები — — — — — — — — — 10 კაპ.

(3—2)

რკ. გზა.	დილ.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი	9	36	4	54				
მცხეთა	—	—	—	—	-	68	-	38
გორი	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა	—	—			5	81	3	23
ქუთაისი	8	23			6	75	3	75
სამტრედია	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი	—	—			8	57	4	76
ფოთი	11	44			9	75	5	42
ფოთი	8	40						
ახ.-სენაკი	—	—			1	18	-	66
სამტრედია	—	—			2	6	1	14
ქუთაისი	11	51			3	4	1	69
ყვირილა	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური	5	41	1	6	5	84	3	24
გორი	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა	—	—			9	8	5	4
თფილისი	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ — ხუთშაბათს დილით.
სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ — ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.
სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი	მ.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს	1	—
გორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:
თფილისისა და ფოთისაკენ — ყო-ველ დღე, კვირას გარდა. ოზურ-გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) გორიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვი-რას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8

ბირჟა	მან.	კაპ.
პეტერბურგი, 12 მარტს		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში $3\frac{1}{2}$ პენსი.	—	84
პარიჟში 309 სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	$7\frac{1}{2}$	—
ბანკის ბილეთი 5%	96	50
მოგებიანი (პირველისესხი)	196	25
მოგებიანი (მეორე ესხი)	192	25
გირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.		—
ხერსონის ბანკის ($5\frac{1}{2}$)	84	32
მოსკოვის (5%). . .	81	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	157	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	497	—
კავკასის და მერკურის. .	206	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	727	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	269	—

მაზანდა	მან.	კაპ.
თფილისი, 24 მარტს.		
პური შორაგალის ფუ.	1	20
ქერი ფუთი. . .	—	87
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	60
— ამერიკისა, ფუთი. .	6	20
გაპენტილი ბამბა ფუ.	7	—
მატყლი თუშური ფუ.	6	70
— თარაქამისა ფუ. .	4	—
აბრეშუმი ბუზუქი სტ	3	—
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	—
სტეარინის სანთელი, ფ.	11	60
ხორცი ძროხისა. ლიტ.	—	65
— ცხვრისა, ლიტრა. .	—	72
სპირტი. ვედრო. . .	8	—
შაქარი. გოლ. ფუთი .	7	10
— ფხვნილი ფუთი .	5	40
ყავა გოგვალი, ფუთი .	20	—
ზეთი ქუნჯუთისა ფ.	5	30
ოქრო $\frac{1}{2}$ იმპერიალი. .	6	63

Дозволено цензурою. Тифлисъ. 1 Апрѣля 1877 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი